

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024)

## შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საკომუნიკაციო სტრატეგია (2021-2024) (შემდგომში - სტრატეგია) განსაზღვრავს ოთხი წლის განმავლობაში სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების (შემდგომში - თავდაცვის ძალები) საკომუნიკაციო პოლიტიკასა და პრინციპებს, სასურველი საკომუნიკაციო შედეგებისთვის აუცილებელ ერთიან საკომუნიკაციო მიმართულებებს, საკომუნიკაციო მიზნებს, სამიზნე აუდიტორიებსა და საკომუნიკაციო საშუალებებს.

საქართველოს მდგრადი უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა არის დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის ძლიერი და ნატოსთან თავსებადი თავდაცვის ძალების განვითარება. სამინისტრო და თავდაცვის ძალები წარმოადგენს ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის უმთავრეს და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო უწყებას. ქვეყნის უსაფრთხოების მიზნებისა და ეროვნული ამოცანების გათვალისწინებით, თავდაცვის ძალების თანამედროვე სამხედრო ძალად ტრანსფორმაციისა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლების პროცესთან ერთად, მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალებისა და ნატოში გაწევრიანებისადმი საქართველოს მოსახლეობის ნდობისა და მაღალი მხარდაჭერის მუდმივი ხელშეწყობა. საზოგადოების სრულყოფილი, პროაქტიული ინფორმირებულობა და თავდაცვის სფეროში ფართო ჩართულობა, დასახული მიზნების მისაღწევად საზოგადოების კონსოლიდაციის წინაპირობაა.

თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესი, სოციალური ტენდენციები და საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წინაშე არსებული ჰიბრიდული საფრთხეები, განსაკუთრებით სახელმწიფოებისა და არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ წარმოებული ზეგავლენის ოპერაციები და დეზინფორმაცია, ახლებურ მიდგომებსა და გადაწყვეტილებებს მოითხოვს. საინფორმაციო გარემოში არსებული თანამედროვე გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღიაობისა და გამჭვირვალობის მაღალი

სტანდარტის და უწყების მიერ ობიექტური და სანდო ინფორმაციის თანმიმდევრული, დროული და პროაქტიული მიწოდების უზრუნველყოფა.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საკომუნიკაციო მიზნები, ეფუძნება სამინისტროს პოლიტიკის ძირითადი ამოცანებისა და სამიზნე ჯგუფების განწყობების გააზრებას და მსოფლიოში, რეგიონსა თუ საქართველოში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების ფონზე ჩამოყალიბებული საინფორმაციო გარემოს ანალიზს.

საკომუნიკაციო სტრატეგია, მისი არსით, მიზნებითა და ამოცანებით სრულად შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოს ამოცანებს, თავდაცვის უწყების ისეთ კონცეპტუალურ დოკუმენტს, როგორც არის თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (2021-2025) და წინა საკომუნიკაციო სტრატეგიით (2017-2020) მიღებულ გამოცდილებას.

## საინფორმაციო გარემო

რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარება, მათი მზარდი მილიტარიზაცია, „მცოცავი ოკუპაცია“ და სხვა ჰიბრიდული მეთოდების გამოყენება, ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს რთულსა და არაპროგნოზირებადს ხდის. რუსეთის ფედერაცია მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის ხელსაყრელი საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად, მათ შორის, ცდილობს შეასუსტოს საქართველოს მოქალაქეთა მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ და გააღვივოს საზოგადოების მცირე ნაწილში ამ საკითხისადმი არსებული უთანხმოება.

რუსეთის ფედერაციის შესაძლო სამხედრო აგრესიასთან ერთად, უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კიბერშეტევებით, ქართული საზოგადოების მდგრადობის შესუსტება, მთლიანობის რღვევა, დაპირისპირება და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისკენ მიმართული ქმედებები. სხვადასხვა მეთოდებით, საზოგადოებაში ანტი-დასავლური განწყობების და დამაბულობის გაღვივების მცდელობები, წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს ქვეყნის სტაბილური, დემოკრატიული განვითარებასა და საგარეო პოლიტიკური კურსისათვის. საინფორმაციო სივრცეში, პრორუსული და ევროატლანტიკური

ინტეგრაციის მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია-საშუალებების რიცხვის ზრდა და კოორდინირებული გზავნილები სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ (მათ შორის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების დისკრედიტაციის მიზნით) საზოგადოებაში სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირებასა და ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანისადმი ნიჰილისტური განწყობების გავრცელებას ემსახურება.

ზემოაღნიშნული საფრთხეებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, თანამედროვე საინფორმაციო გარემოში ეფექტური და პროაქტიული სტრატეგიული კომუნიკაციით, ეროვნული და უწყებრივი ინტერესების დაცვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

კომუნიკაციის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეული პროგრესი. კერძოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის ზეგავლენის განსაკუთრებულმა ზრდამ, პოლიტიკურ პროცესებსა და კონფლიქტებში, საინფორმაციო ომი, ხშირ შემთხვევაში, შედეგების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტად აქცია.

საინფორმაციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საინფორმაციო ეკოსისტემის თავისებურებები, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მათი გავლენა და არსებული საზოგადოებრივი სოციალურ-პოლიტიკური განწყობები. სამინისტროსთვის, აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, საინფორმაციო გარემოს მნიშვნელოვან ელემენტს, საზოგადოებაში თავდაცვის ძალების პოზიციონირება და საქართველოს საგარეო კურსის აღსრულებაში მათ როლთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მონაცემები მკაფიოდ ადასტურებს, რომ საქართველოში ინფორმაციის მიღების წყაროები, მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების შესაბამისად, მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. მაგალითად ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2016 წლის ივნისს<sup>1</sup> ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით, ინფორმაციის მიღების პირველი ძირითადი წყარო (რესპონდენტების 77%-სთვის) ტელევიზია იყო. ეს მონაცემი შემდეგ წლებში თანდათანობით კლებას განიცდიდა და უკვე 2019 წლის

---

<sup>1</sup>NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2016 წლის ივნისი: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI\\_June\\_2016%20poll\\_Public%20Issues\\_GEO\\_VFF%20\(2\).pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_GEO_VFF%20(2).pdf)

დეკემბრის,<sup>2</sup> ამავე ორგანიზაციის კვლევაში, მხოლოდ 69%-ია. ეს მაშინ, როცა საწინააღმდეგო ტენდენციაა ინტერნეტ წყაროებთან დაკავშირებით. თუ 2016 წლის ივნისის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგით ინტერნეტი ინფორმაციის მიღების პირველი ძირითადი წყარო რესპოდენტთა მხოლოდ 14%-სთვის იყო, 2019 წლის დეკემბერში იმავე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევით ეს რიცხვი 24%-ია. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ტენდენციები კიდევ უფრო ძლიერად არის გამოკვეთილი თბილისში, სადაც ინფორმაციის მიღების პირველწყაროდ 2019 წლის დეკემბრის NDI-ის კვლევების მონაცემებით, ტელევიზიას რესპონდენტების 56%, ხოლო ინტერნეტს კი 37% ასახელებს. ასევე, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული 2019 წლის ივლისის კვლევით იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ინტერნეტს საერთოდ არ იყენებენ სოფლებში, ყველაზე მაღალია 38%, მაშინ როცა თბილისსა და დიდი ქალაქებში ეს რიცხვი მნიშვნელოვნად დაბალია და 17% და 18% შეადგენს. ამ განაწილებაში ძირითადი წილი რესპოდენტების 55+ ასაკობრივ კატეგორიაზე მოდის, რომელთა 65% საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს.

ამასთან, მსოფლიო სტატისტიკის ონლაინ რესურსის 2020 წლის მონაცემებით<sup>3</sup> საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ 2,658,311-ს მიაღწია, რაც მოსახლეობის დაახლოებით 2/3-ია. ამავე წყაროს მონაცემებით, „ფეისბუქის“ მომხმარებელთა რაოდენობა 2,524,000-ია, რაც მნიშვნელოვნად უსწრებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნების მონაცემებს. აღნიშნული მიუთითებს საქართველოში სოციალური ქსელი, განსაკუთრებით კი „ფეისბუქის“ მაღალ პოპულარობაზე. ამასვე ადასტურებს NDI-ის კვლევები. 2019 წლის დეკემბრის კვლევის მონაცემებით იმ ადამიანთა რაოდენობიდან, რომელიც ინტერნეტს მოიხმარს (69%) „ფეისბუქის“ მომხმარებელი 72%-ია.

სოციალური მედიის საშუალებით, ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა აქვს ინფორმაციის გამავრცელებლად იქცეს, რაც განსაკუთრებულად აფართოებს ინფორმაციის მიღების წყაროებს და ქმნის სივრცეს დისკუსიისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი ზრდის სისტემის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს

---

<sup>2</sup> NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბერი:  
[https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_December%202019\\_Public%20Presentation\\_GEO\\_VF.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202019_Public%20Presentation_GEO_VF.pdf)

<sup>3</sup>Internet World Stats (მსოფლიო სტატისტიკის ონლაინ რესურსი), 2020 წელი:  
<https://www.internetworldstats.com/stats3.htm>

მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების მაღალი რისკიც. სოციალური მედიის სიკეთეების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისა და საინფორმაციო სივრცის დაცულობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციის რაც შეიძლება მეტი ღიაობა, დროულობა და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით, სამინისტროს პოზიციები აღიარებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თავდაცვის 2020 წლის ანტიკორუფციული კვლევით თავდაცვის სფეროში გამჭვირვალობა, ინფორმაციის თავისუფლება და მისი დროული გაცემა სამინისტროს ერთ-ერთი ძლიერ მხარედ არის შეფასებული<sup>4</sup>. ასევე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში 2020“ კვლევის<sup>5</sup> თანახმად, სამინისტრო ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის მოწინავე პოზიციას, კერძოდ მეორე ადგილს იკავებს 97%-ით.

ინტერნეტის საშუალებით, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან კომუნიკაციის გაზრდასა და მათ ჩართულობას ხელს უწყობს ინტერნეტის თავისუფლების თვალსაზრისით საქართველოში არსებული გარემოც. Freedom House-ის „ინტერნეტის თავისუფლების ინდექსში“ საქართველო მუდმივად ხვდება თავისუფალი ქვეყნების ჩამონათვალში.<sup>6</sup>

2018 წლის NDI-ის მარტის თვის კვლევების მიხედვით, რომელიც არაქართულენოვანი მედიიდან ინფორმაციის მიმღებთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის თვალსაზრისით უკანასკნელ ცნობებს მოიცავს, კვლავ მაღალია ასეთი ინფორმაციის მიმღებთა რაოდენობა - 18%, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - 29%. არაქართული ინფორმაციის წყაროებში ძირითადი წილი უჭირავს რუსულ საშუალებებს და კონკრეტულ საშუალებებში კი - რუსულ სახელმწიფო ტელევიზიებს. რესპონდენტთა იმ 18%-დან ვინც არაქართულ არხებს უყურებს, რუსეთის „პირველ არხს“ უყურებს 33%, პასუხებს შორის სიხშირით მეორე არის „ერთეერი“ 19% და „რასია1“ 13%.

<sup>4</sup>Government Defence Integrity index 2020 (თავდაცვის სფეროში კეთილსინდისიერების ინდექსი 2020), 2020 წელი: <https://ti-defence.org/gdi/countries/georgia/>

<sup>5</sup>საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში 2020“:

<https://idfi.ge/ge/the%20practice%20of%20proactive%20disclosure%20of%20public%20information>

<sup>6</sup>Freedom of the Net 2020 (ინტერნეტის თავისუფლება 2020)

<https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-net/2020?fbclid=IwAR0KTj8KF0k4jUt58Zv3Y6SEGoD9PyCFjBAoQpmSKdFYCpZFpMjVMrzYPqg>

მედიის, მათ შორის სოციალური მედიის თავისუფლების თვალსაზრისით არსებული ტენდენციები არ ვრცელდება რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე, სადაც ფაქტობრივად არ არსებობს დამოუკიდებელი მედია და ინფორმაციის ძირითად წყაროს რუსული ტელე-რადიო საშუალებები წარმოადგენენ.

საზოგადოების განწყობების თვალსაზრისით, კვლავ მტკიცეა საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულება ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის მიმართ. 2016-2020 წლებში ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით, ურყევია 2008 წლის პლებისციტზე გამოხატული ნება და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას მოსახლეობის დაახლოებით 2/3-ზე მეტი ემხრობა.

ამასთან, საზოგადოების ცალკეულ ნაწილში კვლავ შეინიშნება რუსული პროპაგანდისტული გზავნილების ზეგავლენა. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2019 წლის აპრილის კვლევით, გამოკითხულთა 21%-ის მოსაზრებით, საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბების სანაცვლოდ, უარს იტყვის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ამავე კვლევის მიხედვით, სხვადასხვა პროპაგანდისტული გზავნილების გაზომვაზე დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ რუსული პროპაგანდისტული და ანტი-დასავლური გზავნილების მიმართ გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი განსაკუთრებულად მოწყვლადია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ინსტიტუციების ნდობის შედეგებში კვლავ ლიდერია თავდაცვის ძალები. 2020 წლის IRI-ს კვლევის მიხედვით, ქართული ჯარის საქმიანობას დადებითად ყველაზე მეტი, რესპოდენტების 89% ასახელებს.<sup>7</sup>

თავდაცვის ძალები წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომლის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისა და კონსოლიდაციის განმტკიცება სახელმწიფოს აძლიერებს. მაღალი ნდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციისა და ნატოსთან თავსებადობის კუთხით არსებული შედეგების, ასევე საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა და ევროკავშირთან

---

<sup>7</sup> Public Opinion Survey Residents of Georgia 2020 (საქართველოს მოქალაქეების აზრის კვლევა 2020)  
[https://www.iri.org/sites/default/files/iri\\_poll\\_presentation-georgia\\_june\\_2020\\_general-aug\\_4\\_corrections\\_1.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_june_2020_general-aug_4_corrections_1.pdf)

ინტეგრაციის მზადების პროცესში მიღწეული პროგრესის შესახებ, მოსახლეობის სათანადო ინფორმირება.

საინფორმაციო გარემოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტური და პროაქტიული გამოყენება, რომელიც ეროვნული/უწყებრივი ინტერესების მხარდასაჭერად, სასურველი საინფორმაციო გარემოს ფორმირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული მიდგომა ნიშნავს სამინისტროს საკომუნიკაციო/საინფორმაციო პოლიტიკის დღის წესრიგის ადეკვატურ განსაზღვრას, სამინისტროს საკომუნიკაციო მიზნების წარმატებულ შესრულებას, მათ შორის ძირითად სამიზნე აუდიტორიებთან ურთიერთობისას ეფექტური გზავნილების შემუშავებასა და პროაქტიულ მიწოდებას, რაც ერთობლიობაში, მნიშვნელოვნად შეამცირებს საინფორმაციო სივრცეში არსებულ გამოწვევებს. საშუალებას მოგვცემს თავდაცვის ძალებსა და სამხედრო თემატიკის საკითხებში, სამინისტრო ყველაზე ავტორიტეტულ პირველწყაროდ განმტკიცდეს.

## ნ ა რ ა ტ ი ვ ი

თავდაცვის ძალები არის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ქვეყნის მშვიდობიან და დემოკრატიულ განვითარებაში, აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

თავდაცვის ძალები აერთიანებს საქართველოს მოქალაქეებს, ქალებსა და კაცებს სამხედრო უნიფორმით, განურჩევლად მათი რელიგიური, პოლიტიკური, ეთნიკური თუ სხვა ტიპის განსხვავებებისა, რომელთა ღირსეული და ერთგული სამსახური სამშობლოს დაცვის ინტერესებს ემსახურება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენს. ნატოში ინტეგრაცია ქართველი ხალხის ურყევი არჩევანია, რომელიც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 78)<sup>8</sup>, ქვეყნის „საგარეო პოლიტიკის 2019-2022 წლების სტრატეგიით“<sup>9</sup> და ასახულია „საგარეო პოლიტიკის შესახებ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 25 დეკემბრის

<sup>8</sup>საქართველოს კონსტიტუცია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

<sup>9</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, <https://bit.ly/36GEnhX>

რეზოლუციაში“. საქართველოს ისტორიული არჩევანი მხარდაჭერილია ნატო-ს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, სადაც ალიანსის ყველა წევრი შეთანხმდა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. აქედან გამომდინარე, სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესი და მიმდინარე რეფორმები მიმართულია ნატოში ინტეგრაციისა და აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ. ნატოში გაწევრიანება, ხელს შეუწყობს საქართველოს სტაბილურობის, მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. შექმნის საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საჭირო უსაფრთხო გარემოს, უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვას. სწორედ ამიტომ, საქართველო, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყანა, ალიანსის წევრობისთვის მოსამზადებლად წარმატებით იყენებს ნატოსთან თანამშრომლობის ყველა პრაქტიკულ მექანიზმს, მათ შორის, ნატო-საქართველოს კომისიას (NGC) და განახლებულ ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს (SNGP Refreshed).

ამავდროულად, საქართველო, უკვე როგორც უსაფრთხოების მიმწოდებელი ქვეყანა და სანდო და საიმედო პარტნიორი, წარმატებით აგრძელებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას ნატოს, ევროკავშირისა და გაეროს ეგიდით, მიმდინარე საერთაშორისო მისიებში და 2015 წლიდან, შესაბამისი ქვედანაყოფებით მონაწილეობს ნატოს საპასუხო ძალებში (NRF), რაც თავის მხრივ, ზრდის თავდაცვის ძალების საბრძოლო გამოცდილებას და ამყარებს საქართველოს ადგილს ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში.

თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად და მაღალი მზადყოფნის დონის მისაღწევად, უსაფრთხოების არსებული გარემოსა და ტოტალური თავდაცვის პრინციპის გათვალისწინებით, სამინისტრო და თავდაცვის ძალები, რესურსების რაციონალური გადანაწილებით, ცდილობს ეფექტური თავდაცვის ინსტიტუციისა და ოპტიმალური ძალთა სტრუქტურის შექმნას, საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდასა და მოდერნიზებას, მართვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას, თავდაცვის ძალების თანამედროვე, ნატოს სტანდარტებით აღჭურვას, მობილიზაციისა და რეზერვის ქმედითი სისტემის განვითარებას, სხვადასხვა კრიზისულ ვითარებაში მხარდამჭერი ფუნქციის ეფექტურ შესრულებას, განათლებისა და წვრთნის სისტემის დახვეწას, სამხედრო მოსამსახურეებისთვის საუკეთესო პირობების შექმნასა და ინსტიტუტისადმი არსებული მაღალი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებას.



საბოლოო ჯამში, სამინისტროს პოლიტიკის მიზანია, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით, განავითაროს მაღალი ბრძოლისუნარიანობისა და მოტივაციის მქონე, თანამედროვედ აღჭურვილი და გაწვრთნილი, ნატოსთან სრულად თავსებადი თავდაცვის ძალები, რომელიც წარმატებულად გააგრძელებს ქვეყნის ინტერესების დაცვას და ნატოში გაწევრიანების შემდგომ, სრულფასოვან ადგილს დაიკავებს მოკავშირე ძალების რიგებში.

## საკომუნიკაციო მიზნები

სამინისტროს პოლიტიკის, სტრატეგიაში განსაზღვრული საფრთხეებისა და საინფორმაციო გარემოს ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებული სამინისტროს საკომუნიკაციო პოლიტიკის პრინციპებისა და მიზნების შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს სამინისტროს საკომუნიკაციო პრინციპები, მიზნები და თემები.

სამინისტროს მიერ თავდაცვის ძალებისა და ზოგადად, თავდაცვის სფეროს შესახებ ავტორიტეტული და სანდო პირველწყაროს პოზიციის შენარჩუნებისათვის, აუცილებელია ყველა ტიპის კომუნიკაცია, მათ შორის კრიზისების დროს, ეფუძნებოდეს ეთიკურობის, ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, გამჭვირვალობის, და პროაქტიულობის პრინციპებს. ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს სამინისტროს სისტემის და თავდაცვის ძალების სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების გაძლიერება.

თავდაცვის ინსტიტუციის პოზიტიური იმიჯის ფორმირებისა და გამყარებისათვის, საზოგადოების ნდობის გაზრდის და საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის იმიჯის განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ინიციატივებსა და ღონისძიებებზე, სამინისტროს კამპანიური ტიპის კომუნიკაცია დაეფუძნოს სამიზნე აუდიტორიების საფუძვლიანად შესწავლას და გამოყენებულ იქნეს შესაბამის აუდიტორიებზე მორგებული გზავნილები და სათანადო საკომუნიკაციო არხები.

სტრატეგიული კომუნიკაციების მნიშვნელობა განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე ჰიბრიდულ გამოწვევების გათვალისწინებით, სადაც უსაფრთხოების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ერთიანობითა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პროცესში მონაწილეობით. აღნიშნული

მიზნები კი მოითხოვს შიდა და გარე აუდიტორიაზე მაქსიმალურად ეფექტურ საინფორმაციო მუშაობას და მათი მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფას.

თავდაცვის ძალების განვითარების მიმართულებით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობაში სამხედრო სამსახურის და სამინისტროს სისტემაში საგანმანათლებლო და კარიერული შესაძლებლობების ეფექტური კომუნიკაცია. ამრიგად, მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების და სამხედრო პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით, უწყებამ გააძლიეროს საკომუნიკაციო ღონისძიებები, შესაბამის აუდიტორიებში.

თანამედროვე საინფორმაციო გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია ჟურნალისტებთან და აზრის ლიდერებთან სწორი კომუნიკაციის დამყარება და მათთვის სამინისტროს ხედვისა და პერსპექტივის გაზიარება, განსაკუთრებით საინფორმაციო სივრცეში არსებული გამოწვევების შესახებ. ვინაიდან, ჟურნალისტებს ყოველდღიურ რეჟიმში, საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს რეგულარულად უწევთ საინფორმაციო ზეგავლენის ღონისძიებებთან შეხება, აუცილებელია ისინი ამ გამოწვევას მომზადებულები შეხვდნენ. შესაბამისად, სამინისტროსთვის, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს და კიდევ უფრო გაღრმავდეს ჟურნალისტებთან გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების ღონისძიებები და პროექტები.

გარე და შიდა აქტორებისგან მომავალ საინფორმაციო ზეგავლენის ოპერაციებზე რეაგირება შესაძლოა ზოგჯერ დაგვიანებული ღონისძიება იყოს, ვინაიდან სენსაციური და, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის განწყობებზე მორგებული დეზინფორმაცია სამიზნე აუდიტორიის განწყობებზე გარკვეულ კვალს მაინც ტოვებს. თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოებისთვის მუდმივ რეჟიმში ობიექტური ინფორმაციის მიზანმიმართულად და პროაქტიულად მიწოდება, შეზღუდავს შესაძლო დეზინფორმაციების ეფექტური გავრცელების არეალს და შეამსუბუქებს პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მავნე ზემოქმედებას.

შესაბამისად, უნდა მოხდეს საზოგადოებისათვის საინფორმაციო სივრცის სანდო, ობიექტური და ავტორიტეტული ინფორმაციით შევსება ისეთ თემებზე, როგორებიც არის:

- თავდაცვის ძალების განვითარების ხედვები, მიზნები და ამოცანები;
- უწყებაში მიმდინარე რეფორმები და თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის პროცესი;
- სოციალური პროგრამები;

- შეიარაღების და აღჭურვილობის შესყიდვა, წარმოება და მოდერნიზაცია;
- ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, მისი მნიშვნელობა და სამინისტროს როლი ამ პროცესებში;
- საერთაშორისო მისიების მნიშვნელობა, საქართველოს მონაწილეობა და მიღებული სარგებელი;
- უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები: ჰიბრიდული ომი, კიბერუსაფრთხოება, ტერორიზმი.

ამასთან, აუცილებელია კიდევ უფრო გაძლიერდეს და გააქტიურდეს მუშაობა საინფორმაციო გარემოს მონიტორინგისა და ანალიზის თანამედროვე შესაძლებლობების განვითარებისა და დანერგვის მიმართულებით. საინფორმაციო გარემოს სრულად ფლობა საშუალებას მოგვცემს, წინასწარ განვსაზღვროთ ის სუსტი წერტილები, რაც შესაძლოა გამოიყენოს მოწინააღმდეგე და სამინისტროს ყველა საკომუნიკაციო რესურსის კოორდინირებული გამოყენებით მოხდეს პრევენცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების ძირითადი ამოცანა არის შემდეგი საკომუნიკაციო მიზნების მიღწევა:

- თავდაცვის ძალების, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მთავარი გარანტის მიმართ საზოგადოების ნდობის კიდევ უფრო განმტკიცება;
- თავდაცვის ძალების, როგორც საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი წამყვანი და წარმატებული ინსტიტუციის წარმოჩენა;
- ნატო-სთან, ევროკავშირთან, აშშ-სთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს წარმატებული თანამშრომლობისა და ღირსეული პარტნიორობის წარმოჩენა;
- სამინისტროს, როგორც თავდაცვის ძალებისა და თავდაცვის სფეროში სანდო და ავტორიტეტული პირველწყაროს პოზიციის კიდევ უფრო გამყარება;
- სამინისტროს სისტემის საგანმანათლებლო შესაძლებლობების წარმოჩენა;
- თავდაცვის ძალებში თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი აღჭურვილობის, საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების ინტეგრაციის და მათი უპირატესობის წარმოჩენა;
- თავდაცვის ძალებში ნატოსთან თავსებადობის ამაღლების, მოწინააღმდეგის შემაკავებელი ეფექტის გაძლიერებისა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების გზაზე მიღწეული პროგრესის წარმოჩენა;

- თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ადგილობრივი და საერთაშორისო წვრთნებისა და სწავლებების მნიშვნელობის კიდევ უფრო წარმოჩენა;
- თავდაცვის ძალებში მიმდინარე და დაგეგმილი ტრანსფორმაციის პროცესის, თანამედროვე სტანდარტების დანერგვის, სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრების კეთილდღეობის, ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური მოდერნიზაციის პროცესის, ქართული სამხედრო მრეწველობის განვითარების წარმოჩენა;

## სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი

სტრატეგიით გაწერილი მიზნები შესრულდება შესაბამისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმით, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. შესაბამისად, აღნიშნული დეპარტამენტი, უწყების სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის აღსრულებისა და კოორდინაციის სამუშაოებს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა და მასში გაწერილი ღონისძიებები განხორციელდება სამინისტროს შესაბამისი საბიუჯეტო დაფინანსებით, ასევე ცალკეულ შემთხვევებში უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებით.

შემუშავებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების პროგრესის დადგენის მიზნით, რეგულარულად გაიზომება და შეფასდება შესაბამის სამიზნე აუდიტორიებზე მორგებული ცალკეული კამპანიური აქტივობების ეფექტიანობა და გავრცელება. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნეს რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები, მოხდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემის შეჯამება და ანალიზი. ყოველწლიურად კი შეჯამების სახით აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზდება სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების პროგრესი და შემუშავდება რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო სამოქმედო გეგმის დაგეგმვის პროცესში.